
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2010 წლის
30 ივნისს გამართული საჯარო დისკუსია
თემაზე:

„საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები“

ძირითადი მომხსენებლები:

პაატა შეშელიძე – „ახალი ეკონომიკური
სკოლა-საქართველოს“ პრეზიდენტი

რევაზ საყვეარიშვილი – ექსპერტი
ეკონომიკის საკითხებში, ანალიტიკური
ცენტრის, „ეკონომეტრი“, დირექტორი

დავით ნარმანია – კავკასიის ეკონომიკური
და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის
ადმასრულებელი დირექტორი

მოდერატორი: ლევან ალექსიშვილი

ლევან ალექსიშვილი – მოგესალმებით. დასაზრუნოა, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც არის საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები, ცარიელ დარბაზში გვიწევს დისკუსიის გამართვა. თუმცა, ვფიქრობ, ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს დებატების გამართვაში. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მომხსენებლებს და სტუმრებს მობრძანებისთვის.

ლევან ალექსიშვილი – დარბაზში მყოფ ყველა ადამიანს ალბათ ცხოველი ინტერესი გვაქვს იმ თემის მიმართ, რომელსაც დღეს დისკუსიას ვუძღვნით. მეც მინდა მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. მე გახლავართ ლევან ალექსიშვილი, ტელეკომპანია „გურჯაანის“ აღმასრულებელი დირექტორი.

თემა, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, ძალიან მასზე სასაუბროდ შესაძლოა არ იყოს საკმარისი ორი საათი, მაგრამ ვფიქრობ დისკუსიის ფარგლებში მაინც მოვახერხებთ საუბარს მთავარ გამოწვევებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

წარმოგიდგინებ დღევანდელ მომხსენებლებს: რევაზ საყვეარიშვილი, ანალიტიკური ცენტრის, „ეკონომეტრი“, დირექტორი. ბატონი დავით ნარმანია გახლავთ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ბატონი პაატა შეშელიძე, ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს პრეზიდენტი. დღევანდელ დისკუსიაში ასევე უნდა მივლო მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ლალი ლოღობერიძეს, თუმცა სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო ჩვენთან მოსვლა.

დავიწყოთ დისკუსია, მოგუსმინოთ ჩვენს მომხსენებლებს.

რევაზ საყვეარიშვილი – დიდი მადლობა მოწვევისა და ამ თემით დაინტერესებისათვის. შევეცდები მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემი ხედვა. დანარჩენი მომხსენებლები კონკრეტულ თემებს ალბათ უფრო ღრმად წარმოაჩენენ.

საქართველოს ეკონომიკაში დღეს არსებულ გამოწვევებს გარკვეულ კატეგორიებად დავაჯგუფებდი, თუმცა ამ კატეგორიებშიც ალბათ უნდა გამოიყოს მეტ-ნაკლები რისკის ზონები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძალიან ხშირად შიდა და გარე რისკები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

პირველ რიგში, ალბათ უნდა გავიაზროთ საქართველოს ეკონომიკის არსი და მისი მდგომარეობა, ფორმატი და შინაარსი. ეკონომიკის ბევრნაირი განმარტება არსებობს, კლასიკურიც და არაკლასიკურიც. მსოფლიოში არსებული სახელმწიფო ეკონომიკა სამ ტიპად შეიძლება დაიყოს. ამ პრინციპით საქართველოში არ არის მოხმარებაზე ორიენტირებული ეკონომიკა, როგორც ეს არის ამერიკის შეერთებული შტატებში. საქართველოში არც ექსპორტზე

ორიენტირებული ეკონომიკაა, ჩინეთისგან განსხვავებით. საქართველოს ეკონომიკის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე. მათ გარეშე, როგორც ვხედავთ, საქართველოს ეკონომიკა ვერ ვითარდება იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო დახმარება, რომელიც მეტნაკლებად სოლიდური დოზით მოდის დონორებიდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან, ქვეყანას თუნდაც ბოლო წლებში, პოსტსაომარ სიტუაციაში გააჩნია. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიხმოთ სტატისტიკა. 2010 წლის პირველი კვარტალის სტატისტიკამ გვაჩვენა, რომ საქართველოში შემოვიდა სულ 76 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც ბოლო ხუთი კვარტალის ყველაზე ცუდი შედეგია. ეს კარგად მიუთითებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქვეყნის ეკონომიკა. ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა უკიდურესად არის დაცემული, რაც გამოიხატება კიდევ ამ ციფრებში და რასაც არსებითი კავშირი აქვს ამ პრობლემასთან. დიდია საფრთხე, რომ ასეთ სიტუაციაში კიდევ იქნება ქვეყანაში არარეალისტური მოლოდინები.

სწორედ დღეს გაგეცანი პაატა შეშელიძის კოლეგის, გია ჯანდიერის მოსაზრებას, რომელშიც სწორედ ამაზეა ყურადღება გამახვილებული, რომ არარეალისტური მოლოდინები, რომლებიც ეკონომიკაში იქნება, თუნდაც ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, შესაძლოა სამომავლოდ ჩადებული კიდევ ერთი ნელი მოქმედების ნაღმი აღმოჩნდეს. იქნება მოლოდინი, რომ განსახილველად და ცხოვრებაში განსახორციელებლად მომზადებულია რეკომენდებული ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, რეალურად ხელში გვრჩება დოკუმენტი, რომელიც აძლიერებს მეწარმეზე ადმინისტრაციულ ზეწოლას და არაფერი აქვს საერთო ლიბერალური ეკონომიკის პრონციპებთან, თუ არ გავითვალისწინებთ საგადასახადო განაკვეთებს, რომლებიც მართალია, კარგია, მაგრამ მათი აღსრულების ბაზა იმდენად ცუდია, რომ საბოლოო ანგარიშში პოზიტიურ ეფექტს ვერ მოიტანს. ეს საკითხი არსებითად არის დაკავშირებული იმ პრობლემასთან, რომელიც საქართველოში ბოლო წლებში იკვეთება და რომელიც განსაკუთრებულად ნეგატიურ ხასიათს ატარებს. ეს არის სახელმწიფოს ჩარევა და მისი როლის ზრდა ეკონომიკურ პროცესებში. ეს გამოიხატება როგორც თეორიულ განაცხადებში იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უნდა გახდეს ქვეყნის ძირითადი ინვესტორი, ასევე იმაში, რომ რეალურად სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესის ყველა სფეროში წლიდან წლამდე სულ უფრო ძლიერდება. ეს არის იმ პრობლემების ნაწილი, რომელთა წინაშეც დგას დღეს ქართული ეკონომიკა, და რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად სერიოზულად აისახება მის მდგომარეობაზე.

რაც შეეხება ცალკეულ მიმართულებებს, რომლებშიც თითქოს გვაქვს წინსვლა, ესეც საკმაოდ მყიფე წარმატებების მაჩვენებელია. კვლავ სტატისტიკას თუ დავესესხებით, წლევეანდელი წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში მეტნაკლებად გაზრდილია ექსპორტი, თუნდაც შარშანდელი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით ამ თემას, ვნახავთ, რომ

პირველ ადგილზე, 17%-ით, ფეროშენადნობებია. ანუ, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის 17%-ს ერთი პროდუქტი განსაზღვრავს. საკმარისია, მას რაიმე პრობლემა შეექმნას, ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურა მნიშვნელოვნად დამახინჯდება. გვახსოვს, როგორ გაჩერდა ქარხანა, როდესაც მენეჯერმა და თანამშრომლებმა ვერ მოილაპარაკეს. ასეთი მარტივი მანიპულაციების დონეზეც კი საქართველოს საექსპორტო პოტენციალს შეიძლება პრობლემები შეექმნას.

საქართველოს ექსპორტის მეორე პოზიციანია მსუბუქი ავტომობილები, რომლებიც საქართველოში არ იწარმოება და მთლიანად სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული. მესამე ადგილზეა შავი ლითონების ჯართი, რომელსაც პირდაპირი კონტაქტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან არ გააჩნია. ქვეყნის შიგნით არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე მიუთითებენ საერთაშორისო თუ დონორი ორგანიზაციები, იქნება ეს გაკრედიტების სიმწირე, ეკონომიკური პოლიტიკის არათანმიმდევრულობა, პრიორიტეტების არასწორი გადანაწილება და ა.შ. სამწუხაროდ, ბევრი პრობლემაა, მათი სიღრმისეული ანალიზი დიდ დროს წაგვართმევს.

გარე რისკებს რაც შეეხება, როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობთ, ძალიან ხშირად ხდება აპელირება მეზობელი ქვეყნების საფრთხეებით. რეალურად, საქართველოს ეკონომიკის და მისი სოციალური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის კვალობაზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მეტ-ნაკლები დოზით აისახება მასზე. მაგალითად, ის, რაც ხდება საბერძნეთში, პირდაპირ თუ ირიბად აუცილებლად აისახება საქართველოზე თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საბერძნეთი არის მეოთხე ქვეყანა სიდიდით იმ სახელმწიფოთა შორის, საიდანაც საქართველოში ფულადი ტრანსფერები ხორციელდება. საბერძნეთში მყოფი ქართველი დასაქმებულებისთვის პრობლემების შექმნა პირდაპირ აისახება ფულად გზაწინადად. ალბათ ყველანი ადევნებთ თვალს მექსიკის ყურეში მიმდინარე პროცესებს, სადაც - ს კუთვნილი ჭაბურღილიდან ნავთობი ჩაიღვარა. დღეს ალბათ ნაკლებად ადვილკამათ იმ პრობლემას, რომელსაც ეს ფაქტი ქმნის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არის საქართველოზე გამავალი ყველა მსხვილი ენერგოპროექტის ოპერატორი კომპანია, ყველა ის პრობლემა, რომელიც შეიძლება მას დაემუქროს, არ არის გამორიცხული, პირდაპირ აისახოს საქართველოში განხორციელებულ მსხვილ საერთაშორისო ტრანსნაციონალურ პროექტებზე. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ -მ შეიძლება დათმოს რაღაც პროექტები. იმის თქმა მინდა, რომ ამ ერთი კომპანიის გარშემო შექმნილ ვითარებასაც კი საკმაოდ სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს, აზერბაიჯანის და ენერგოდერეფნის პოზიციებზე.

როდესაც ვსაუბრობთ ენერგოდერეფანზე, საქართველოს იმედებსა და შესაძლებლობებზე, თვალწინ გვაქვს ის სქემები და მარშრუტები, რომლითაც შუააზიური ნავთობი და გაზი უნდა მიეწოდოს ევროპის სახელმწიფოებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკური ზრდა ევროპაში არ არის იმ

სიდიდის და სისწრაფის, რაც იმავე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თუნდაც ჩინეთში, რომელიც სულ უფრო მზარდ რესურსებს მოიხმარს და არანაკლებ დაინტერესებულია იმით, რომ ეს ნაკადები სათავეს გადაქაჩოს. ალბათ ესეც უნდა მოვიხაზროთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოტენციურ საფრთხედ, რომელიც შესაძლოა ქვეყნის ეკონომიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას და პოლიტიკას მომავალში დაემუქროს.

როგორც გარე, ისე შიდა გამოწვევების რიცხვი წლიდან წლამდე მატულობს. ამას საფუძვლად ედება რთული პოლიტიკური ფონი. გმადლობთ.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა, ბატონო რევაზ.

ძალიან საინტერესო აქცენტები გააკეთა ბატონმა რევაზმა. მათ შორის ის, რომ საქართველოს ეკონომიკა ინვესტიციებზე დგას.

ბატონო დავით, შემოსული ინვესტიციებით მაინც თუ იქმნება ჩვენში პროდუქცია. ასევე საინტერესოა თქვენი აზრი იმის შესახებ, არსებობს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა.

დავით ნარმანია – მოგესალმებით ყველას. ინვესტიციებისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებაზე რომ ვისაუბროთ, რამდენიმე წლის წინანდელი მდგომარეობა უნდა გავიხსენოთ. როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო და ძალიან ბევრ სფეროში, მათ შორის ეკონომიკაში სხვადასხვა რეფორმა გაატარა. ამას ორი მთავარი რამ მოჰყვა. ერთია საინვესტიციო „ბუმი“, ანუ წინა წლებთან შედარებით ინვესტიციების მოცულობის ყოველწლიური ზრდა. ამავდროულად მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ქვეყანაში, მაშინ როცა წინა წლებში ეს პროცესები მდორედ მიმდინარეობდა. 2006-2007 წლებში მაკროეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 10-12% იყო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, დამერწმუნებიან კოლეგები. ამ ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი ამ პერიოდში სწორედ ინვესტიციების მოცულობა იყო.

ჩვენი კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ ასხვავებს რეალურ, პირდაპირ ინვესტიციებს, რომელთა შედეგადაც რაღაც საწარმო ამოქმედდება, იმ ინვესტიციებისაგან, როდესაც ინვესტორი პრივატიზაციის წესით ყიდულობს გაჩერებულ საწარმოს და მან შეიძლება რამდენიმე წელიწადი არც აამუშაოს ის. თუმცა მიუხედავად ამისა, პრივატიზაციისგან მიღებული შემოსავლებიც იზრდებოდა ამ პერიოდში. მაგალითად 2006-2007 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის 10%-ზე მეტს პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები შეადგენდა.

როგორც მოგახსენეთ, მაღალი ინვესტიციების მაჩვენებელი იყო განმაპირობებელი ფაქტორი როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებისა. თითოეული ჩვენგანი ვამჩნევდით, რომ წინა წლებთან შედარებით უმჯობესდებოდა ადამიანების ყოფილი

საკითხებიც. გარდა ამისა ეს ყველაფერი აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკაზეც. თუმცა შემდეგ, 2008 წელს ორი ცუდი რამ დაემთხვა ერთმანეთს. ეს იყო 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას სხვა ქვეყნების ეკონომიკებისგან ის განასხვავებს, რომ ერთბაშად ორი დარტყმა მიიღო. ძალიან ძნელია იმის თქმა, მათგან რომელმა უფრო უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, ან რომლის გავლენა უფრო ადრე იყო. იმიტომ რომ საბანკო და სამშენებლო სექტორს ჯერ კიდევ ომამდე ეტყობოდა კრიზისი. ინვესტიციების მოცულობა ორივე მათგანში შემცირებული იყო. საბანკო სექტორში მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სამშენებლო სექტორში ფინანსური პირამიდის ეტაპობრივი რღვევა ჯერ კიდევ 2008 წლის პირველ ნახევარში შეინიშნებოდა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და უკვე ოქტომბერ-ნოემბრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის აქტიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც 2008 წლის მესამე-მეოთხე კვარტალში ინვესტიციების მაჩვენებლები 2004 წლის მდგომარეობამდე დააბრუნა, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა ნელ-ნელა წინ დგამდა ნაბიჯებს. ინვესტიციების მაჩვენებელიც შედარებით დაბალი იყო. ინვესტორები ჯერ კიდევ თვითგამორკვევის პროცესში იყვნენ, ღირდა თუ არა პოსტრევოლუციურ ქვეყანაში ინვესტირება. ანალოგიური მდგომარეობა იყო 2009 წელსაც. ეს არ ყოფილა კრიზისიდან სრულად გამოსვლის წელი. განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მძიმე იყო და ქვეყანას 2009 წლის განმავლობაში ორჯერ მოუწია ბიუჯეტის შემცირება. შემცირდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობაც, რაც დაბალი ეკონომიკური აქტივობით იყო გამოწვეული.

მაკროეკონომიკური მდგომარეობა და რეალური სტაბილურობა ჯერჯერობით 2010 წლის პირველ ნახევარშიც ვერ აღდგა. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სექტორმა გამოიღვიძა და ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მათი ყოველთვიური მდგომარეობა მოგებით აღინიშნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ტიპის სახელმწიფო პროექტებმა და თბილისის მერიის პროექტებმა ცალკეული სამშენებლო კომპანიები გამოაცოცხლეს, ბევრ სექტორში ჯერ მაინც კრიზისული მდგომარეობა რჩება. ამასთან ერთად ინვესტიციების მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია, რასაც სამი მთავარი მიზეზი აქვს: საგარეო აგრესიის მაღალი საფრთხე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დიდი ინვესტორებისთვის. მათ იციან, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები აღარ განმეორდება, მაგრამ ცალკეული ტიპის ინტერვენციებს მაინც აქვს ადგილი და ძნელია ინვესტორმა თბილისში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მსხვილი ინვესტიცია განახორციელოს, მაშინ როცა თბილისიდან ძალიან ახლოს საოკუპაციო ჯარები დგანან. დაბალი საინვესტიციო აქტივობის განმაპირობებელი მეორე მიზეზია ის, რომ ჯერ კიდევ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის იქ, რომლის ინვესტიციებიც საქართველოში ხორციელდება, არ არის კრიზისი დაძლეული და ბევრი საფრთხე არსებობს.

პირველმა მომხსენებელმა უკვე ისაუბრა საბერძნეთის მაგალითზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ინვესტორი იყო. ეს ეხება აზიის რამდენიმე ქვეყანასაც. კრიზისამდელი მდგომარეობის აღდგენას ამ ქვეყნებში ორი-სამი წელი მაინც დასჭირდება. ასე რომ ინვესტორების უმეტესობა ელოდება მოვლენების განვითარებას.

მესამე მომენტი მკაფიო ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა. ბატონო პაატა ალბათ უფრო ვრცლად ისაუბრებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე ქვეყანაში. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობა დაიწყო და ნელ-ნელა შეამცირა სახელმწიფოს ხელი ეკონომიკაში, თუმცა ამას მოგვიანებით საწინააღმდეგო შედეგები მოჰყვა და ცალკეულ სექტორებში უფრო მეტად გაიზარდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში. მკაფიო ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობაზე მეტყველებს ისიც, რომ კრიზისის დროს ქვეყანამ ვერ დადო რეალური ანტიკრიზისული გეგმა, რაც ბევრმა ქვეყანამ გააკეთა. იმიტომ რომ კრიზისის დროს არ შეიძლება ეკონომიკა თვითდინებაზე მიუშვა. ამას ემატება ასევე ის, რომ ძალიან ხშირად ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუციები იცვლება და მარეგულირებელი ნორმები იცვლება. ხან ლიბერალიზაცია ხდება, ხან პირიქით, ხდება დამატებითი რეგულაციების შემოღება. ეკონომიკის სამინისტროც დღითიდღე სუსტდება. ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტად ვერ ვხედავთ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი. სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების თუ ცალკეული თანამდებობის პირების ქმედებებიც ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის თვალსაზრისით ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგოა.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა ბატონო დავით. ორმაგ სტანდარტებს და ხედვას სამწუხაროდ არა მარტო ეკონომიკაში, სხვა სფეროებშიც ხშირად ვხვდებით. საგადასახადო კოდექსიც, ერთის მხრივ, თითქოს ლიბერალურია, თუმცა მასში დევს ისეთი მექანიზმები, რომლებიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს ზეწოლას ბიზნესსა და ეკონომიკაზე.

ბატონო პაატა, თქვენ როგორ შეაფასებთ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას.

პაატა შეშელიძე – დიდი მადლობა მოწვევისთვის. თუ ნებას დამრთავთ ქრონოლოგიური ფორმით ავაგებ თხრობას. შევეცდები, შევაფასო ისტორიული მონაკვეთები და ორმაგ სტანდარტებზეც ვისაუბრო. შემდეგ უკვე ჩამოვაყალიბებ საკუთარ დამოკიდებულებას დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით და სამომავლო პერსპექტივებზეც ვისაუბრებ.

ხშირად გამიგონია და დღესაც იყო აქ საუბარი იმაზე, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ლიბერალური კურსი იქნა არჩეული. ნება მიბოძეთ ამაში ეჭვი შევიტანო. გასული შვიდი წლის განაღლიზებისას ოთხ ძირითად მონაკვეთს გამოვყოფ. პირველი: 2003 წლის

ნოემბრიდან 2004 წლის ზაფხული, შემდგომი პერიოდი გრძელდება 2007 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე, როდესაც ოპოზიცია იქნა დარბეული. შემდეგ ამას მოჰყვა რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, ანუ საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი. მესამე მომენტი: ნოემბერი – 2008 წლის აგვისტოს ომი და მეოთხე: აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდი დღემდე.

პირველ მონაკვეთში ახალი ხელისუფლება თვითდამკვიდრებას ცდილობს. ამ პროცესს თან ახლავს სერიოზული პრობლემები კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით, პოლიტიკური ნიშნით ნაწილდება საკუთრება, განუკითხავად მოქმედებს საგადასახადო ადმინისტრაცია. პოლიტიკური დაპირისპირებები სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა. მთელ რიგ საინტერესო გადაწყვეტილებებს თან ახლავს ძალის დემონსტრაცია. ერთი მხრივ, ძალიან კარგი იყო პოლიციის განახლება, მაგრამ ცუდია, რომ ამას დემონსტრაციული პოლიტიკური ელფერი ჰქონდა. თუმცა შედეგი ბევრად უკეთესია, ვიდრე იყო. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დადებითი ნაბიჯი იყო ვიზუალური გამარტივება და ორმაგი მოქალაქეობის შემოღება. ეს ორი ნაბიჯი უდავოდ პოზიტიური იყო, მაგრამ დადებითთან ერთად იყო უარყოფითი მომენტებიც. რა მოხდა 2004 წლის ზაფხულში მნიშვნელოვანი – საქართველოში მინისტრად იქნა მოწვეული კახა ბენდუქიძე, რომელმაც პრინციპულად განსხვავებული ხედვა შემოიტანა და ის გაზიარებული იქნა. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ სექტორულად ვარ განწყობილი, მაგრამ არ შემოიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ ადამიანს ცოტა ხანი მაინც აცალეს რაღაცის კეთება. კახა ბენდუქიძის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბევრი ნაბიჯი გადაიდგა ლიბერალიზების მიმართულებით. შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიები და ნებართვები, გამარტივდა ბიზნეს-რეგისტრაცია, შეიცვალა და გამარტივდა საბაჟო განაკვეთები. ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ასევე საინტერესო რეფორმები გატარდა საბანკო სექტორში, რომელიც მანამდე საკმაოდ დახურული იყო. შეუძლებელი იყო თავისუფლად გაგეყიდა ან გეყიდა წილი ბანკში, დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული და შეზღუდული იყო უცხოური მონაწილეობა. ბევრი რამ შეიცვალა, რამაც ბევრ ადამიანს ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შანსი გაუჩინა.

გაგახსენებთ 2007 წლის ნოემბერს – პოლიტიკური კონფლიქტი, დარბევა, ახალი არჩევნები. საგრძნობლად შეფერხდა რეფორმაციის პროცესი, რამაც ჩემი აზრით, პოლიტიკური ხელმძღვანელობის წიაღში დაპირისპირება გამოიწვია იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა დადგომოდნენ მომავალში. მოგეხსენებათ, არჩევნები ყოველთვის მოითხოვს დამატებით ხარჯებს, პოლიტიკურ დაპირებებს, ანგარიშის გაწევას ამომრჩევლისთვის, შესაბამისად, ბევრი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგმულიყო, შეფერხდა. კიდევ უფრო მძიმე იყო აგვისტო. ომს თან დაერთო მსოფლიო ფინანსური კრიზისი. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მაშინ მოხდა, ის იყო, რომ საქართველოს მთავრობამ დაკარგა რეფორმის გრძნობა. მან რეფორმების კურსის გაგრძელება აღარ ჩათვალა ყველაზე მნიშვნელოვან

საქმედ. მთავრობამ უცხოელი დონორებისგან ძალიან დიდი რაოდენობით ფინანსური დახმარება მიიღო. ფაქტობრივად, ის მოწვედა ამომრჩეველს, გადასახადების გადამხდელს. მას ჰქონდა ფული და აღარ სჭირდებოდა რეფორმების ჩატარება რაღაცის გასაკეთებლად. ეს მიდგომა დღემდე გრძელდება. ამასვე დაემთხვა უცხოური ინვესტიციების შემოდინების შეფერხება. მხედველობაში მაქვს კერძო ინვესტიციები. უცხოური ფინანსური ორგანიზაციების შემოწირულობებს და დახმარებას მე ინვესტიციებად არ მივიჩნევ. ამ ფონზე მთავრობა გადაწყვეტს, რომ ის უნდა გახდეს მთავარი ინვესტორი ეკონომიკაში. ამაში იგულისხმება ახალი სამუშაო ადგილები. პრობლემა მდგომარეობს შემდეგში – როდესაც მთავრობაა მთავარი დამსაქმებელი და ინვესტორი, რესურსებს ართმევს კერძო სექტორს. მთავრობის დაკვეთით აშენებული ხიდი გულისხმობდა კონკრეტულ სამშენებლო მასალებს და მუშახელს, რომელიც მოაკლდა კერძო სექტორს. ხიდის საჭიროების კრიტერიუმი ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ არსებობს ბაზარზე გამოსული ნებისმიერი ნივთის საჭიროების კრიტერიუმი. თუ მას ვიღაც ყიდულობს, ე.ი. საჭიროა. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, დრო, ენერჯია, ფული, რესურსები, რომელიც მოხმარდა ხიდის მშენებლობას, საჭირო იყო თუ არა. ყოველთვის იდგმებოდა ნაბიჯები წინ ან უკან. ორმაგი პოლიტიკა ყოველთვის იყო, მაგრამ 2004 წლის ზაფხულიდან 2007 წლის ნოემბრამდე პერიოდში ყველაზე ნაკლებად. ყველაზე მეტი წინგადადგმული ნაბიჯიც ამ პერიოდზე მოდის. ნებისმიერი მთავრობის, გინდა ქართულის, გინდა უცხოურის, ამოცანაა ერთი რამ, ხელისუფლებაში ყოფნის პირველი წლები მოახმარონ ცვლილებებს, მომდევნო წლები კი – ამომრჩეველის მოზიდვას. მაგრამ რადგან საქართველოში თითქმის ყოველ წელს გვაქვს არჩევნები, საკმაოდ რთულია მთავრობის დარწმუნება რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაში. გარდა ამისა, თვითონ ადამიანს უნდა სჯეროდეს, რასაც აკეთებს. უნდა სწამდეს, რომ ეს რეფორმები მას მართლაც მოუტანს შედეგს. მე დღეს ასეთ, რეფორმებზე ორიენტირებულ ადამიანს არ ვიცნობ.

გასათვალისწინებელია შემდეგი – პიროვნებები წყვეტენ პოლიტიკას. ამოცანები ციდან არ ცვივა. ადამიანები თვითონ ისახავენ ამ ამოცანებს და გამოსავლის ძიებასაც ცდილობენ. ზოგიერთი პოლიტიკოსის ამოცანაა, მარტივად რომ ვთქვათ, სკამის შენარჩუნება, დამატებითი შემოსავლების მიღება, ბევრისთვის ეს უბრალოდ სახელია, ზოგისთვის – პატივმოყვარეობა. ამიტომ ჩვენი შეფასების კრიტერიუმი უნდა იყოს, თუ რა გააკეთა კონკრეტულმა ადამიანმა. ბოლო უახლოეს პერიოდში კი სიტუაცია ასეთია – მთავრობა ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ეკონომიკაში მოხერხდა კრიზისის შეჩერება, იმიტომ რომ განხორციელდა ძალიან ბევრი ინვესტიცია სახელმწიფოს მხრიდან. ის ცდილობს დაგვარწმუნოს თავის სტაბილურობაში, რადგან მოახერხდა არჩევნების მოგება და პოლიტიკური ოპოზიციის განეიტრალება. რიტორიკის, თავისუფლების აქტისა და სხვა ასეთი ტიპის დოკუმენტების პროპაგანდისტული გამოყენებით ცდილობს წარმოაჩინოს თავი, როგორც მსოფლიოში ყველაზე

ლიბერალური. სამწუხაროდ, ვერც ერთ ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. სტაბილურობა მიღწეულ იქნა არა იმის ხარჯზე, რომ მთავრობაა წარმატებული, არამედ იმიტომ, რომ ოპოზიცია საკმაოდ არაადეკვატურია, ჩვენი საზოგადოების ინტერესებს ვერ ასახავს, ასევე დაბალია მისი ორგანიზაციული და ინტელექტუალური შესაძლებლობები, პოლიტიკური პროცია კი, საერთოდ გაუგებარი. სინამდვილეში არც ფინანსური კრიზისია დაძლეული, იმიტომ რომ არ მოგვარებულა მისი გამომწვევი არც ერთი საკითხი.

ფინანსური კრიზისი მსოფლიო მოვლენაა, მაგრამ ქართული საბანკო სისტემა, მონეტარული სისტემა, აბსოლუტურად იდენტურია ბევრი საერთაშორისო მონეტარული სისტემისა. ფინანსური კრიზისის მთავარი არსი ისაა, რომ საბანკო რეგულირება ღრმა იყო და ის ზედმეტ თავისუფლებას აძლევდა ბანკებს. როდესაც რეგულირება არ არის, ნებისმიერი ბანკი ეცდება, რომ მაღალი დონის დანახოებს ფლობდეს. პოლიტიკას ისე აწარმოებდა, რომ მიღებული დეპოზიტების უდიდესი ნაწილი მას რეზერვად ექნებოდა შემონახული და მხოლოდ ნაწილის გასესხებაზე იქნებოდა ორიენტირებული. მას არც იმის იმედი ექნებოდა, რომ ეროვნული ბანკები ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფდა მათ დამატებითი ფულადი რესურსით. მათ არ ექნებოდათ იმის იმედი, რომ გაჭირვების შემთხვევაში ეროვნული ბანკი მათ ძალიან იაფ სესხს მისცემდა. ასეთი რამ წარმოდგენელი იქნებოდა თავისუფალი ბაზრის პირობებში. შესაბამისად, ბანკების პოლიტიკა პრინციპულად განსხვავებული იქნებოდა. მაგრამ რეალურად, ბევრი ამერიკული და ევროპული ცენტრალური ბანკი, ქართული ნაკლებად და ამის გამოც იყო, რომ ჩვენ შედარებით იოლად ვიტანთ შექმნილ ვითარებას, ბანკებს აძლევდა უფლებას, არ შეენახათ რესურსები და გაეცათ ის სესხად. ის მათ განუსაზღვრელი რაოდენობით სესხის აღების საშუალებას აძლევდა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ რეგულირება მათ უპასუხისმგებლო ქმედების საშუალებას აძლევდა. როდესაც ეროვნული ბანკი ნებისმიერ რისკს გიზღვევს, მათ ვერ განსაზღვრავ.

თანამედროვე მონეტარული სისტემა აგებულია ე.წ. ქაღალდის ფულის სისტემაზე. ის ისევე იბეჭდება, როგორც სხვა ჩვეულებრივი ქაღალდი. ის შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობით დაიბეჭდოს. ათლარიანი კუპიურის გამოცემას და ორასლარიანი კუპიურის გამოცემას ერთნაირი დანახარჯი აქვს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენთანაც არის ასეთი პოლიტიკა – ეროვნული ბანკი განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობით უნდა იყოს მიმოქცევაში ქაღალდის ფული. არ არსებობს ზღვარის დამდები მექანიზმი. გასული თორმეტი წლის განმავლობაში ამერიკაში ამერიკული დოლარი დაიბეჭდა უფრო მეტი, ვიდრე წინა ორასი წლის წინ განმავლობაში. შესაბამისად, მონეტარული სისტემა ქვიშაზე იყო დაფუძნებული. ადრე თუ გვიან ის დაიშლებოდა. მოხდა რღვევა, მაგრამ იმის ნაცვლად რომ მონეტარული სისტემა ახალ მოდელზე გადასულიყო, იგივე გაგრძელდა. ჩვენ ისევ გვაქვს ქაღალდის ფული, რომელსაც რა რაოდენობითაც უნდათ, იმდენს გამოუშვებენ, ისევ შეცვლიან სავალუტო

კურსს, როგორც მოეხასიათებათ და ამის უკან არ დგას ეკონომიკა. სულ ახლახანს საქართველოში მოხდა ქართული ლარის კიდევ ერთი დევალვაცია ამერიკულ დოლართან მიმართებაში. მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზები არავის განუმარტავს. ეროვნულ ბანკს აქვს რეზერვები, შეუძლია სურვილით და არა კანონით გამოისყიდოს საჭირო რაოდენობის ლარი, რათა კურსი შეინარჩუნოს. მაგრამ ასეთი პოლიტიკა არ ტარდება. ანუ ჩვენთვის უცნობია, რას ეყრდნობა რეალური პოლიტიკა. სინამდვილეში ფინანსური კრიზისი კი არ გადაილახა, ცოტა ხნით გადაიდო. ეს კიდევ უფრო სერიოზულ ჭაობში გვაგდებს. საქართველოს სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებით აქვს შინაგანი პოტენცია, რომ უფრო რადიკალური გადაწყვეტილებები მიიღოს. იმიტომ, რომ აქ არის რამდენიმე ადამიანი, რომელსაც ესმის და აქვს გავლენა მოვლენებზე და მათ პოლიტიკური აქციის დონეზე სხვა გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ. მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხდება. ხვალ რა იქნება, არ ვიცი.

ყოველთვის ვამბობდი, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსავალი, რომელიც შეიძლება იქცეს ქვეყნის რეალური ეკონომიკური ტრანსფორმაციის საწყისად, არის სერიოზული მონეტარული რეფორმა. თანაბრად მნიშვნელოვანი რამდენიმე მოდელის განხილვა შეიძლება. ერთ-ერთი ის იქნება, რომ ლარი უზრუნველყოფილი იყოს ძვირფასი ლითონით. გასაოცარია, რომ ეროვნული ბანკი მიმოქცევაში უშვებს ოქროს ლარებს. შეგიძლიათ წაბრძანდეთ და შეიძინოთ ისინი. მაგრამ არ მესმის, რატომ არ იყენებს მათ როგორც მიმოქცევის საშუალებას. ოქრო იმდენია, რამდენის მოთხოვნაც არის. თუ იქნება მასზე მოთხოვნილება, გაიზრდება მისი რაოდენობა.

მეორე საკითხი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზებაში მდგომარეობს. ტარიფები კი არის დაბალი, მაგრამ თუ დეტალურად შევისწავლით ამ სფეროს, აღმოვაჩინოთ, რომ თუნდაც ამერიკაში, თუ გადასახადი მაღალია, არის სისტემა, რომელიც გამოქვითვის საშუალებას იძლევა. ჩვენთან ეს მექანიზმი არ არის, ამიტომ ტვირთი ძალიან მძიმეა. ბოლომდე არ მისულა საბაჟო რეფორმა, არც ტარიფები გამარტივებულა ისე, როგორც იყო ჩაფიქრებული. ამ თვალსაზრისით ვერ დავემსგავსეთ ჰონკონგს და სინგაპურს. გარდა ამისა, საბაჟო შეიძინა საგადასახადოს ფუნქციები. ის იღებს დღგ-ს საგადასახადოს ნაცვლად.

ჩემი აზრით, რეფორმა უნდა ჩატარდეს ადმინისტრირების კუთხითაც. გადასახადებს მე ძალადობად და ქონების ექსპროპრიაციად მივიჩნევ. ზუსტად არ ვიცი რატომ ვიხდით გადასახადებს. საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ეს სავალდებულოა და ა.შ. მაგრამ აქ არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები სახელმწიფოს ვალდებულება. ამიტომ მე საკონტრაქტო მოდელს უფრო მივანიჭებდი უპირატესობას. კონტრაქტის შემთხვევაში ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობა იქნება, ვიდრე თანამედროვე სისტემაში გვაქვს.

და მესამე, რაც აუცილებლად უნდა გაკეთდეს, არის სახელმწიფოს ხარჯების შემცირება და არა გაზრდა, რასაც ბოლო წლებში სისტემატურად ვხედავთ. წელანაც ვთქვი, ნებისმიერი თეთრი, რომელიც იხარჯება მთავრობის მიერ, ამოღებულია ეკონომიკიდან და როგორც რესურსი, აკლდება კერძო სექტორს. ამიტომ ამას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა, შემდეგ იგივე თემაზე გამოკითხვის შედეგები დაიღო კახა ბენდუქიძის ბლოგზეც. იქ ნათქვამი იყო, რომ თუ გვსურს დავეწიოთ ევროპას, გვჭირდება წელიწადში მინიმუმ 14-18%. ეს რომ მიღწეულ იქნას, დასახელებული ორი კომპონენტის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო გამოვიდეს ბიზნესიდან. მისი საქმე არ არის სამუშაო ადგილების შექმნა. ის არ შეიძლება იქცეს ინვესტორად. თუ გვინდა თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ვიცხოვროთ ისე, როგორც საშუალო ევროპელი ცხოვრობს, განსხვავებული პოლიტიკა უნდა გვქონდეს. მთავრობის მიმართაც განსხვავებული მოთხოვნები უნდა გვქონდეს.

როგორც უკვე ვითხარით, მე პესიმისტი ვარ. პოლიტიკურ სპექტრში ამ რეფორმების ჩასატარებლად ინტელექტუალურ რესურსს ვერ ვხედავ. იმიტომ რომ ყოველთვის, როდესაც საუბარია ლიბერალიზაციაზე, განიხილება მხოლოდ ერთი მიმართულება, რაც შეიძლება მეტი გადასახადი აკერიფოთ. სინამდვილეში ლიბერალიზება იმიტომ გვჭირდება, რომ საკუთრების უფლება მეტად იყოს დაცული და უფრო თავისუფლები ვიყოთ, შეგვეძლოს გადაწყვეტილებების მიღება ქონების განკარგავსთან დაკავშირებით ჩვენ თვითონ. ამ ორ პრინციპულად განსხვავებულ ხედვაზე განსხვავებული პოლიტიკა იგება.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა ბატონო პაატა საინტერესო მოსაზრებებისთვის. გამოიკვეთა მთავარი გამოწვევა – სახელმწიფო უნდა გამოვიდეს ბიზნესიდან. მაგრამ სახელმწიფოს პოლიტიკა ასეთია, რომ კერძო სექტორში არ არის ის ცოდნა და რესურსი, ის ბიზნეს აზროვნება, რაც მისი გამოსვლის შემთხვევაში უარეს შედეგებს არ გამოიწვევს. რამდენად არგუმენტირებულია სახელმწიფოს ეს მოსაზრება. კარგი იქნებოდა, ეკონომიკის სამინისტროდან გველოდა სტუმარი, მაგრამ სამწუხაროდ, ქალბატონმა ლალი დოღობერიძემ ვერ მოახერხა ჩვენთან მოსვლა.

პაატა შეშელიძე – საბაზრო ეკონომიკა უკეთესია არა იმიტომ, რომ ყველაზე ეფექტიანია, არამედ იმიტომ რომ ყველაზე სამართლიანია. ეფექტიანობისგან განსხვავებით, სამართლიანობა ყოველთვის სდევს მას. ვის შეუძლია იმის განსაზღვრა, ვინ უფრო გონიერია და ვისი გადაწყვეტილება უფრო ჭკვიანურია, თუკი ეს ეხება კერძო საკუთრებას. გადაწყვეტილება თავად მესაკუთრემ უნდა მიიღოს. მცდარია ხედვა, რომლის მიხედვითაც მთავრობაში უფრო მეტი გამოცდილებაა, ვიდრე კერძო სექტორში. ბიუროკრატი სხვისი რესურსებით იღებს გადაწყვეტილებებს, თვითონ ფინანსურად პასუხს არ აგებს.

ბიზნესმენი კი თავისი ფინანსური რესურსებით და პასუხისმგებლობით იღებს გადაწყვეტილებებს.

ხშირად უკავშირებენ საბაზრო ეკონომიკას ადამიანებს შორის კონფლიქტს. საბაზრო ეკონომიკა ეყრდნობა თავისუფალ გაცვლას. მისი მონაწილეები ნებაყოფლობით თმობენ რაღაცას მეორის მიერ ასევე ნებაყოფლობით დათმობილის სანაცვლოდ. ასე რომ ეს პრინციპი მთლიანად არის აგებული თანამშრომლობასა და სარგებელზე. იმ შემთხვევაშიც, თუ საზოგადოებაში ყველა ერთმანეთის მტერია და ერთმანეთის მიმართ მგლური დამოკიდებულება აქვთ, ვინ მოდის ასეთი საზოგადოების სათავეში, კრავი? დღევანდელ საქართველოზე არ ვსაუბრობ, ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც გადასახადებს ეყრდნობა, სწორედ ასეთი შედეგი აქვს. ხელისუფლებაში უმეტესწილად უპასუხისმგებლო ადამიანები მოდიან. გირჩევთ წაიკითხოთ ჰაიეკის ძალიან საინტერესო ნაშრომი ამ თემაზე, „გზა ბატონყმობისკენ“, რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა. დარბაზში ხომ არ არის რაიმე მოსაზრება ამ თემაზე?

თორნიკე ორბელიანი, თსუ სტუდენტი – ყველა რესურსი რომ ამოიწუროს, რამდენი ხანი შეგვიძლია გავძლოთ?

პაატა შეშელიძე – თუ საქართველოს დიდ ღობეს შემოვარტყამთ და არავის შემოვუშვებთ, არავის მივცემთ აზროვნების უფლებას, თუ ჩამოვართმევთ ადამიანებს კერძო საკუთრებას, შეიძლება ასეთი სიტუაცია მივიღოთ. მაგრამ არ მესმის რას ნიშნავს რაღაცის ამოწურვა. რას ნიშნავს ინვესტიცია. ვიღაც ადამიანს, რომელსაც აქვს დანაზოგი, ფიქრობს, სად განათავსოს ეს დანაზოგი, ვის ასესხოს, ან რა შეიძინოს. საქართველო თუ ახერხებს გახდეს მიმზიდველი, თუნდაც იმიტომ რომ უკეთესი ფინანსური სისტემა აქვს, იმიტომ რომ ნაკლები გადასახადები აქვს, იმიტომ რომ აღარ გეშინია, რომ მანქანას მოგპარავენ, ეს ყველაფერი იძლევა გადაწყვეტილების აწონ-დაწონის საშუალებას.

სულ ორი კვირის წინ სტუმარი მყავდა ავსტრალიიდან. ძალიან იყო დაინტერესებული ინფორმაციით, რომელსაც ვაწვდიდი რეფორმებზე, გადაწყვეტა ევლო ქუჩებში და გაცნობოდა აქაურ სიტუაციას. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მისი დაკვირვების მოსმენა. როდესაც ნახა ნავის კონტეინერები, თქვა რომ ავსტრალიაში ამხელა კორპუსებთან ორჯერ მეტი კონტეინერი დაიდგმებოდა და დასძინა, რომ განვითარების დიდი შესაძლებლობა გვაქვს. ასევე დაინტერესდა, რატომ არ სარგებლობენ საქართველოში მოტოციკლეტებით, იმიტომ რომ ის იაფია და ბევრ ადამიანს აქვს საშუალება მისი შეძენისა. როდესაც რესტორანში შევიდა და არ მოეწონა იქაური მომსახურება, თქვა, რომ აქ არ არის უმუშევრობა, იმიტომ რომ როდესაც მომსახურე პერსონალი საკუთარ თავს ასე

მოქცევის უფლებას აძლევს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას არ ეშინია სამსახურის დაკარგვის.

თუკი ჩვენი საზოგადოება აძლევს შესაბამის იმპულსებს ადამიანებს, ჩვენი ქვეყანა იქნება ღია საიმისოდ, რომ ვიღაც ჩამოვიდეს და თავისი ფული აქ დააბანდოს და თავისი დრო აქ გამოიყენოს. საბედნიეროდ, საკმაოდ ღია ვართ იმისათვის, რომ უკან არ დავბრუნდეთ. ამიტომ რაღაცის ამოწურვის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. ამოუწურავია ჩვენი შესაძლებლობები და ინტერესები, მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებასაც ვცდილობთ. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ტრანსფორმაცია ნელა მიმდინარეობს და საზოგადოების დამოკიდებულებაც ისეთია, თითქოს რეფორმები დროებითი იყოს და არ იყენებს არსებულ საშუალებებს. ავსტრალიელმა უფრო მეტი დაინახა ერთ დღეში, ვიდრე აქ მცხოვრებმა ქართველმა, რომელიც თავისი ცხოვრების რეფორმაციას არ ახდენს.

გიორგი შუბითიძე – ჩვენთვის არ აუხსნიათ ახალი მინისტრის დანიშვნის მიზეზები. იქნებ თქვენთვის იყოს ცნობილი, რა კრიტერიუმებით და რა დამსახურების გამო დააწინაურეს ეს ადამიანი.

ასევე მაინტერესებს კიდევ ერთი საკითხი. ცოტა ხანში ამოგვეწურება 4 მილიარდნახევრიანი დახმარება, რომელიც საქართველომ ნაწილობრივ გრანტის, ნაწილობრივ კი სესხის სახით მიიღო. ამის შემდეგ რაზე დადგება საქართველოს ეკონომიკა? რა რეკომენდაციას მისცემდით მთავრობას. რა არის სასწრაფოდ გასაკეთებელი?

რევაზ საყვეარიშვილი – „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ათი ეკონომიკის მინისტრი გამოიცვალა. ამ თანამდებობაზე დანიშნული ადამიანები მოთავსდნენ დიაპაზონში კახა ბენდუქიძიდან ვერა ქობალიამდე. ანუ, ეს ნიშნავს, რომ ახსნა-განმარტება ან დასაბუთება ამ დანიშვნებს არ შეიძლება ჰქონდეს. როდესაც კახა ბენდუქიძე ჩამოდიოდა, მისი ხედვა მაინც ყველამ იცოდა, ისევე როგორც სხვა მინისტრების. აქ ეკონომიკურ ხედვაზე არ არის საერთოდ საუბარი. აქ ისიც ითქვა, რომ ეს სამინისტრო კვდომის პროცესშია და ვის ხელში მოკვდება, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება თქვენს მიერ ნახსენებ დახმარებას, კრედიტები უკვე იწურება. რაც შეეხება გრანტებს, 2008-დან 2010 წლის ჩათვლით, რაც საბიუჯეტო მონაცემებით დასტურდება, ქვეყანას გაწერილი აქვს ერთ მილიარდ დოლარზე ნაკლები ოდენობის გრანტის მიღება. ანუ, გამოყოფილი აქვს 2 მილიარდზე მეტი, და მზაობას გამოთქვამს, აითვისოს 1 მილიარდზე ნაკლები. კრედიტებისგან განსხვავებით, რომელიც კომერციული ვალდებულებაა და დატვირთულია პასუხისმგებლობებით, გრანტების შემთხვევაში პასუხისმგებლობა იღება წინასწარ, ანუ რაღაცის ვალდებულების გამო იღებ გრანტს. ნაკისრი ვალდებულება კი არ სრულდება. 2007 წელს, როდესაც პიკს

მიადწია უცხოურმა ინვესტიციებმა, საუბარია 2 მილიარდ 14 მილიონზე, ეკონომიკური ზრდა 14%-ზე მეტი იყო. ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. თუ გადავიანგარიშებთ, პიკურ მაჩვენებელთან შედარებით ეს 4 მილიარდნახევარი არის ორი წლის ხარჯების სამყოფი თანხა. ამიტომ, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ მათი საჭიროება და გადაუდებლობა არაფრით არ არის დადასტურებული.

რაც შეეხება რეკომენდაციას, არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. ფაქტია, რომ ეს იყო ორწლიანი „ბალიში“, რომ ქვეყანა ძალიან მწარედ არ დაცემულიყო. ის უკვე ბოლომდე გამოყენებული. თუ ის ადგილობრივმა რესურსებმა არ ჩაანაცვლა, ამას არავითარი რეკომენდაცია არ უშველის. მიმართულებაა არასწორი. შიდა ბიზნესის წახალისებაზე კი არ არის ლაპარაკი, სხვა დონორების ძებნა მიმდინარეობს.

ალექსი მესხიშვილი – წარმოება სად არის?

რევაზ საყვეარიშვილი – მოდით, ავიღოთ შვეიცარია. რას აწარმოებენ იქ საათებისა და შოკოლადის გარდა? აწარმოებენ ძალიან ვიწრო ნიშურ პროდუქტს, რომლითაც გასულები არიან მსოფლიო ბაზარზე არსებული ცოდნის და ხარისხის ხარჯზე. რა ტიპის წარმოება შეიძლება არსებობდეს საქართველოში – შევთანხმდეთ, რომ ინდუსტრიული წარმოება, რაც საქართველოში იყო, თუ ზესტაფონის ფეროს მსგავსად რომელიმე საერთაშორისო ჯაჭვში არ მოხვდა, ძალიან რთულია, რომ იარსებოს. შეიძლება იყოს ზუსტად ასეთი ტიპის საწარმოები, რომლებიც შექმნიან ნიშურ პროდუქტებს, მათ შორის ღვინოს.

ბიზნესის განვითარება რთულია მარტივი მიზეზის გამო. აი, მაგალითად, რომელი ქართული წარმოება მიგაჩნიათ კონკურენტულად?

დავით გამყრელიძე, სტუდენტი – ჩვენ გავაკეთეთ ელექტროსადენების კაბელების ქარხანა საქართველოში, თურქებთან ერთად, ქსნის ქუჩაზე. საბოლოო ჯამში შემოტანილმა პროდუქციამ ფასით აჯობა აქ წარმოებულ პროდუქციას. იძულებულები ვიყავით გაგვეჩერებინა ქარხანა. სახელმწიფოდან არ მოდის პროტექტორატი ადგილობრივი წარმოების მიმართ.

რევაზ საყვეარიშვილი – დავუშვათ, რომ თქვენი კონკურენტი ასევე უმტკიცებს მთავრობას პროტექცია გაუწიოს. რატომ უნდა გაიღოს სახელმწიფომ იმ საწარმოს შენახვაზე ფული, როდესაც იმთავითვე ცხადია, რომ ის ვერასოდეს ვერ შექმნის კონკურენტულ პროდუქციას.

ძალიან ბევრი რამ შეიძლება იყოს ისეთი, რისი წარმოებაც საქართველოში შესაძლებელი იქნებოდა, თუკი სახელმწიფო პროტექციას გაუწევდა, მაგრამ ჯერ ერთი, წარმატებული პროტექციის მაგალითი

დამისახელეთ. ეს არ არის კარგი გზა. სად მთავრდება სუფსიდიების ზღვარი, რთული საკითხია.

დავით გამყრელიძე, სტუდენტი – არის მრავალი არასტანდარტული პროდუქციით გაჯერებული ბაზარი. ხარისხიან პროდუქციაზე მოთხოვნა არ არის. ნელ-ნელა უკვე ჩნდება ეს მოთხოვნა, მაგრამ დიდი ბრძოლა გვიწევს ამ მოთხოვნის ბაზარზე გასაჩენად. აქედან გამომდინარე, არასტანდარტული პროდუქცია, რომელიც მაღალი ფასით შემოდის ქვეყანაში, შემდეგ კიდევ უფრო ძვირდება.

პაატა შეშელიძე – შევეცდები ვუპასუხო თქვენს შეკითხვას. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ბიზნესის წარმომადგენლები თავის დარგში სოციალისტები არიან, თან მკაფიო. ვგულისხმობ იმას, რომ ყველა ბიზნესმენი ცდილობს თავის დარგს მიანიჭოს ისეთი აურა, თითქოს ამ დარგისთვის საგანგებო პირობების შექმნა სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს.

მოდით, ორ რამეზე ვილაპარაკოთ – პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე. ეკონომიკურად სიტუაცია ძალიან მარტივია. როდესაც ბაზარზე გვაქვს თავისუფლება, მომხმარებელს აქვს არჩევანის საშუალება, იყიდოს იაფი პროდუქტი, თუნდაც ნაწარმოები იყოს თურქეთში, ტაილანდში ან სხვა ქვეყანაში. მომხმარებელი მოგებულია, როცა იაფად იღებს იმას, რაც სჭირდება. ამის საშუალებას მას კონკურენცია აძლევს. ახლა წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომ საბაჟოზე უთხრან უცხო ქვეყნის მეწარმეს, რომ მის პროდუქციას უფრო მეტად დაბეგრავენ, ან ფინანსურად ადგილობრივი წარმოების ანალოგიურ პროდუქციას დაეხმარებიან. რა შედეგს ვიღებთ? მომხმარებელი ვეღარ იძენს პროდუქტს იაფად, იმიტომ რომ შემომტანი ბიზნესმენი დაინტერესებულია გაყიდვის ფასში ასახოს ის დანახარჯი, რომელიც საბაჟოს გადაკეთისას ემუქრება და აძვირებს თავის პროდუქტს. მომხმარებელი ან ძვირად ყიდულობს, ან თავს იკავებს შეძენისგან.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ამის შედეგად ადგილობრივი პროდუქცია იაფდება? ადგილობრივი მეწარმეები, რომელიც უკვე არაკონკურენტულ ვითარებაშია თავის იმპორტიორ კონკურენტთან, როგორ იქცევა? რა თქმა უნდა, ბაზარზე აქვს საშუალება ცოტა უფრო იაფად გამოიტანოს პროდუქცია, მაგრამ რამდენად ხარისხიანია ეს პროდუქცია, ეს საკითხავია. რაც უფრო მაღალია პროტექცია, მეწარმეს აღარ აქვს ინტერესი, რომ დახვეწოს ტექნოლოგია და ნაკლები ხარისხის პროდუქციას იმავე ფასად ყიდოს, რაც მისი უცხოური ანალოგი ეღირებოდა. და რაც მთავარია, სუფსიდიები საიდან მოდის? თქვენ გგონიათ, რომ მთავრობას აქვს ჯადოსნური ჯოხი, დაიქნევს და აჩენს რესურსებს? სუფსიდია მოდის გადასახადებისაგან, ფულის საბუკლი მანქანისაგან და უცხოური კრედიტებისაგან. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ისევ ჩვენი, გადამახდელეების ხარჯზე ხდება. იმიტომ ჩემს ხარჯზე, როგორც

მომხმარებელს, საქართველოში კაბელების წარმოების არსებობა არ მომეწონება. თქვენ უნდა შეაფასოთ, რის წამოწყებას აპირებთ. წამოიწყეთ ბიზნესი, რომელზეც არ ყოფილა მოთხოვნა.

ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ბიუჯეტი დეფიციტურია, საბეჭდი მანქანა ჩართულია, და ბევრ ქვეყანაში, როგორც საბერძნეთში, იტალიაში, და ბევრ სხვა ქვეყანაში, ეს ზღვარსაც გადასცდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა, ეროვნული ვალი არის მთლიანი შიდა პროდუქტის 97%. ფაქტობრივად, ყველა ეს ქვეყანა, მანკიერ სისტემას, აგრობიზნესის სუფსიდირებას, ინარჩუნებს მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ბეჭდავს ფულს. მაგრამ ერთ დღეს ეს აღარ გაამართლებს, დროებითი საშუალებაა. ჩვენ ამ გზით არ უნდა წავიდეთ.

– გასაგებია, კონკურენცია ქმნის ხარისხს და იაფ პროდუქტს, მაგრამ როგორ უნდა მოვახერხოთ ქართველებმა კაპიტალისტურ სისტემაში კონკურენციის გაწევა უკვე განვითარებული ქვეყნებისთვის. როგორ უნდა შევეჯიბროთ მათ რაიმეში. თუ აგროსექტორი არ განვითარდება ქვეყანაში, მაშინ ეკონომიკურად ვხდებით დამოკიდებულები სხვა ქვეყნებზე. ამასთან ერთად ჩვენი უსაფრთხოებაც მათზე იქნება დამოკიდებული.

ლევან ალექსიშვილი – მოდით, შევთანხმდეთ, რა ტიპის ეკონომიკა გვინდა. გვინდა ეკონომიკა საკუთარი წარმოების გარეშე?

პაატა შეშელიძე – დაახლოებით 40 წლის წინ რომ მოხვედრილიყავით სამხრეთ კორეაში ან ჰონგკონგში, ალბათ გაგაკვირვებდათ იმ ადამიანების სიღარიბე და უმწეობა. 20 წლის წინ რომ ირლანდიაში ჩასულიყავით, გაგიკვირებოდათ, რა უნდოდა ამ ქვეყანას ევროპის კავშირში. პინოჩეტის ბოლო პერიოდის ჩილე რომ გენახათ, ალბათ ასევე არ მოგეწონებოდათ იქაური ვითარება. მაგრამ ყველა ამ ქვეყანამ იმის ხარჯზე მოახდინა ტრანსფორმაცია, რომ თავისუფლება დაუშვა უფრო მეტი დოზით, ვიდრე მანამდე იყო. შესაბამისად, საკითხის ასე დაყენება, რაღაც გვინდა თუ არა, არასწორია. ნუ გგონიათ, რომ წარმოება აუცილებლად უზარმაზარ ქარხანას ნიშნავს. წარმოება არის ყველაფერი, რაზეც არსებობს მოთხოვნა ბაზრის მხრიდან.

ლევან ალექსიშვილი – რატომ გვიჯდება გაცილებით ძვირი ჩვენი რაღაცის შექმნა, ვიდრე მისი სხვა ქვეყნიდან შემოტანა?

პაატა შეშელიძე – ამას ბევრი მიზეზი აქვს. როდესაც უცხოეთიდან რაღაც შემოგაქვთ უფრო იაფად, ვიდრე მას თავად ქმნით, შეირგეთ, იყიდეთ იაფად, გააკეთეთ დანაზოგი და შექმენით რაიმე სხვა.

რევაზ საყვეარიშვილი – ერთ რამეზე შევთანხმდეთ. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ ძალიან ბევრი დარგი გაპარტახდა. მაგალითად, კვების მრეწველობის სფეროში პრაქტიკულად ყველაფერი გაჩერებული იყო. მაგრამ ჩვენს თვალწინ 10-15 წლის განმავლობაში შეიქმნა საწარმოები, რომლებიც ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ და ექსპორტზე გადიან. ეს შეიძლება ითქვას „ყაზბეგზე“, „ნიკორაზე“. ესენი არ არის წარმოება? საქართველოში ხომ არ ყოფილა ქართული ლუდი. დღეს საქართველოში ყველაზე მეტი სწორედ ქართული ლუდი იყიდება. ხორცპროდუქტები შემოგვქონდა სხვა ქვეყნებიდან, ახლა ადგილობრივი წარმოება აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს. გაგახსენებთ „ბარამბოს“, არის საწარმოები, რომლებიც დღეს, ჩვენს თვალწინ იქმნება. მიონი და მიკროელექტრონიკა ჩვენთან ვერასოდეს შეიქმნება, იმიტომ რომ საქართველოში ერთი ჩიპის ღირებულება 0,01 ცენტი ვერასოდეს ვერ იქნება, ჩინეთისგან განსხვავებით, თუნდაც სახელმწიფომ მთელი თავისი შემოსავალი მიკროელექტრონიკაში ჩადოს.

ჩვენ რატომღაც მაინც ინდუსტრიულ წარმოებაზე ვფიქრობთ. ფეროს გაუმართლა, ისიც იმიტომ, რომ მისმა მენეჯერებმა მოახერხეს მისი საერთაშორისო ჯაჭვში ჩაბმა.

გიორგი შუბითიძე – ჩვეულებრივი მოქალაქისათვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სახის წარმოება იქნება, მთავარია უმუშევრები და სოციალურად გაჭირვებული ადამიანები აღარ იყვნენ.

რევაზ საყვეარიშვილი – სადამოს საათებში რომ გაიაროთ თბილისში, რამდენ რესტორანს ნახავთ თავისუფალი ადგილებით, ძალიან ცოტას, ხომ? სარესტორნო ბიზნესში მომსახურებისთვისაც არის ადგილი, კლიენტისთვისაც, მომმარაგებლისთვისაც. კომუნისტების დროს საქართველოში რამდენი რესტორანი იყო? დღეს გაცილებით მეტია. ან საცურაო აუზი ავიღოთ, არასოდეს არ არის თავისუფალი აუზები, მუდმივად არის მათზე მოთხოვნა. რაღაცებს ბუნებრივად აჩენს ბაზარი. ათი წლის წინ რომ გეთქვათ, რომ ამდენი ახალი აუზი აშენდებოდა და ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი, არავინ დაგიჯერებდათ.

პაატა შეშელიძე – ლიბერალიზების დროს ადამიანს მეტი შანსი ეძლევა იმისთვის, რომ რაღაც აკეთოს. არ არსებოს ჩიპი, რომელსაც ერთ ღამეში ჩაგვიღვამენ და შევიცვლებით. ჩვენ გვჭირდება ცოდნის შექმნა, გადახალისება, უფრო მეტი დროის და ენერჯის დახარჯვა იმისთვის, რომ სხვანაირად დავინახოთ ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. ადამიანის გონებამ უნდა შეცვალოს სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს. მაგრამ ეს ცვლილება არ მოხდება სამთავრობო დეკრეტით ან სუფსიდიით.

დავით გამყრელიძე, სტუდენტი – მაგრამ საიდან მოდის, განათლება, ცოდნა, თუ არა სახელმწიფოდან?

პაატა შეშელიძე – ვერასოდეს ვერ მიაღწევთ შედეგს, თუ ასე ფიქრობთ. ეს მცდარი აზრია. განათლება მოდის ადამიანის სურვილიდან მიიღოს განათლება. სხვათა შორის, გვაქვს არაჩვეულებრივი ტერმინი „განათლების შექენა“. არ დაფიქრებულხართ ამ სიტყვების მნიშვნელობაზე? ჩვენს წინაპარს ესმოდა, რომ განათლებას შექენა უნდა. უფასოდ მოცემულს ვერ დააფასებთ. ადამიანმა უნდა შეაფასოს თავისი დრო, ფული და რესურსები და მიიღოს გადაწყვეტილება, რაში დახარჯოს ფული, განათლებაში თუ უკეთეს მობილურ ტელეფონში.

გიორგი შუბითიძე – საქართველოში მთავარი პრობლემა ის არის, რომ განათლება ელიტარული ხდება. ჩვენთან, სადაც ბევრი რამ კანონს არ ექვემდებარება, ყველას ერთნაირად არ შეუძლია თავის წარმოჩენა. ყველაფერი არ არის ადამიანის ნიჭზე დამოკიდებული.

მაინტერესებს, ხომ არ არის საქართველოში სოციალური აფეთქების საშიშროება. მე ვხედავ ამ საფრთხეს.

დავით ნარმანია – მეც მინდოდა საუბარი ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობასა და სოციალურ ფონზე. რამდენიმე წლის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდები, როცა მაღალი ეკონომიკური ზრდა იყო, შემოდინდა ინვესტიციები, საქმდებოდნენ ადამიანები. ამავე პერიოდში პარალელურად იზრდებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვი. დღეს, მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკით, 1 მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ძალიან ბევრია ადამიანი, რომელიც სიღარიბის ზღვარზე იმყოფება. გამოდის, რომ ქვეყნის მოსახლეობის 1/4 სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. თუ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ტარდებოდა ქვეყანაში, მაღალი იყო ეკონომიკური ზრდა, საინვესტიციო აქტივობაც მაღალი იყო, მოსახლეობის შემოსავლები მატულობდა, პარალელურ რეჟიმში რატომ იზრდებოდა ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვი?

და მეორე კითხვა, რომელიც ყველაზე ხშირად გვიჩნდება ეკონომისტებს – რატომ არ ქვეყნდება ოფიციალური სტატისტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გადანაწილდება შემოსავლები სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებს შორის. ჩემი გერმანელი პარტნიორი იყო ჩამოსული თბილისში და პაატას სტუმრის მსგავსად, სადამოთი ქალაქში გასვლა მთხოვა. ძალიან გააკვირვა ამდენმა ჯიპმა და გადავსებულმა რესტორნებმა და მითხრა, თქვენ კიდევ ამბობთ, რომ თქვენს ქვეყანაში ბევრი გაჭირვებული ადამიანიაო? არსებობს ადამიანების რაღაც კატეგორია, რომლებმაც მაღალი ეკონომიკური აქტივობის

პირობებში რაღაც გზებით გაჭირვებული ადამიანების ხარჯზე მოახერხეს დიდი შემოსავლის შოვნა. ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა საჯარო მოხელეს გასჩენია ბიზნესის კეთების სურვილი. სახელმწიფოს ბიზნესიდან გამოსვლის მნიშვნელობაზე ვსაუბრობდით. ეს ორგვარად შეიძლება იყოს განმარტებული: პირველი – სახელმწიფო შეეშვას ბიზნესის კეთებას და ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელში არსებული საწარმოების პრივატიზება მოახდინოს. მეორე – სახელმწიფო ჩინოვნიკების რაიმე სახით მონაწილეობა ბიზნესში, როცა ისინი ხდებიან ჩინოვნიკები, უნდა გამოირიცხოს.

ასეთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ შედარებით მცირე კატეგორიის ადამიანების ხელში აღმოჩნდა შემოსავლების დიდი ნაწილი და მეორე კატეგორია ადამიანებისა, პარალელურ რეჟიმში ღარიბდებოდა. ამას ემატება ის, რომ არავინ აკვირდებოდა ადამიანების ხარჯების სტრუქტურას. შეადარეთ რამდენიმე წლის წინანდელი ხარჯების სტრუქტურა დღევანდელს. ძალიან საინტერესო ტენდენციას დაინახავთ, რომ თქვენი შემოსავლების სულ უფრო მეტ წილს მიმართავთ კვების პროდუქტების და პირველადი მოთხოვნილების საგნების შესაძენად, მაშინ როცა ადრე უფრო შეგეძლოთ ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბოლო პერიოდში ძალიან სწრაფად იზრდება ფასები. ორ პერიოდს გამოვყოფდი – 2007-08 წლის პირველი ნახევარი და 2009 წლის ბოლო-2010 წლის პერიოდი დღემდე, როცა ადამიანების შემოსავლები არაადექვატური იყო ფასების საერთო ღონესთან შედარებით. რაოდენობრივად თუ შევაფასებთ, ადამიანების მცირე კატეგორიას აქვს დანაზოგი, რასაც საბანკო სტატისტიკაც მოწმობს. პარალელურ რეჟიმში გაედინება ქვეყნიდან ფული. ეს ფული მიედინება ოფშორულ ზონებში და იქიდან შემდეგ გაუკვეველი კაპიტალი შემოდის ქვეყანაში. ჩვენს ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების დაახლოებით 70% ყოველწლიურად შემოდის ოფშორული ზონებიდან და არც მეპატრონის ვინაობა ვიცით და არც კაპიტალის წარმომავლობა. რაღაც ბიზნესებში იდება ეს ფული, იქმნება სამუშაო ადგილები, რაღაც კარგი კეთდება, თუმცა მას საპირისპირო შედეგებიც მოაქვს.

კიდევ ერთ საკითხს შევეხები. ამბობენ, რომ არ იზრდება გადასახადების განაკვეთი, თუმცა დაბეგვრის არეალს მნიშვნელოვნად ზრდიან ახალი საგადასახადო კოდექსით. საერთაშორისო დახმარებების რესურსის გარკვეული ნაწილი ამოწურულია, ქვეყანა კრიზისიდან არ გამოსულა, ძალიან ბევრი წინასაარჩევნო დაპირება არ შესრულებულა, ამიტომ გადაწყვიტეს, დაბეგვრის არეალში მოაქციონ უფრო მეტი შემოსავალი. და ბოლო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული გადასახადები მცირდებოდა, საგადასახადო ტვირთი მაინც იზრდებოდა. თუ შევაფარდებთ ქვეყანაში მობილიზებული შემოსავლების მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტთან, თუ 2004-2005 წლებში ეს მაჩვენებელი იყო დაახლოებით 18-19%, 2009-2010 წლებში 27-28%-ია. და კიდევ უფრო გაიზრდება 2011 წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკიდან უფრო

მეტ ფულს იღებს და მას მერე თვითონვე ხარჯავს, თვითონ აკეთებს ბიზნესს, ანუ თავის წილს ზრდის ეკონომიკაში.

პაატა შეშელიძე – მე სეკეპტიკური ვარ სტატისტიკის მიმართ. არარეალისტურად მეჩვენება თქვენს მიერ მოხმობილი სტატისტიკური მონაცემები. იმიტომ რომ მას ძირითადად სახელმწიფო აკონტროლებს. კერძო სექტორს არა აქვს ამ მონაცემების გადამოწმების რესურსი. ამიტომ სტატისტიკა პოლიტიკური მანიპულაციის საგანია. ჩემი აზრით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების ციფრი გაბერილია და ეს პოლიტიკოსების პირდაპირი დაინტერესებაა. რადგან თუ ეს ციფრი დიდია, უფრო მეტი ასპარეზი რჩება პოლიტიკოსის სამოქმედოდ, უფრო მეტია გასაკეთებელი, უფრო მეტია დასახმარებელი და შესაბამისად უფრო მეტი ადამიანის მანიპულირებაა შესაძლებელი.

დავით ნარმანია – ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა და კანცელარიაში გააგზავნა, ბიუჯეტში ცვლილებები იყო, სადაც პრემიერისთვის ბოლოში მიაწერეს ასეთი რაღაც, რომ წინა პერიოდის ციფრებთან შედარების შემდეგ ძალიან მაღალი მაჩვენებელი მიიღეს, რის გამოც წინა პერიოდის ციფრები დააკორექტირეს. რა თქმა უნდა, ეს პრემიერის აპარატში არავის წაუკითხავს, ასევე შეიტანეს პარლამენტში და პარლამენტში დამტკიცებულ დოკუმენტში ამოვიკითხე ასეთი საინტერესო რამ სტატისტიკაზე.

ძალიან ხშირად, როდესაც სტატისტიკურ მონაცემებს ვიშველიებ, ძველ მონაცემებს ვინახავ ხოლმე, იმიტომ რომ წინა პერიოდის სტატისტიკას ძალიან ხშირად ცვლიან.

გიორგი შუბითიძე – ერთი კომენტარი მაქვს ბატონ პაატასთან. საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს ერთნაირად ვერ მოვთხოვთ შესაბამის განათლებას, ინფორმაციას. ყველას არ შეუძლია მსოფლიო ეკონომიკის ჭრილში იფიქროს ბიზნესის კეთებაზე. ეს საკითხი, მგონი, ყურადღების მიღმა გრჩებათ.

ლევან ალექსიშვილი – სოციალურ დახმარებაზე ვსაუბრობდით. მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ჩემთან, ტელევიზიაში მოვიდა ადამიანი და 30 ლარის სოციალური დახმარების მისაღებად თავისი გაჭირვებული მდგომარეობის გაშუქება მთხოვა. შევთავაზე თუნუქი, ტრანსპორტირებას და სახლის გადახურვასაც შევპირდი, მაგრამ უარი მითხრა და თქვა, რომ თუ ასე მოვიქცეოდი, დახმარებას აღარავინ მისცემდა. ადამიანები გააზარმაცა სოციალურმა დახმარებამ და სახელმწიფომ ეს ძალიან კარგად იცის. რატომ

ვერ ახერხებენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები გაერთიანებას, კოოპერირებას.

შორენა ძოწენიძე – ამის მაგალითი არსებობდა, მაგრამ არ გაამართლა. ერთი მუშაობდა და დანარჩენები მის ხარჯზე იყვნენ.

პაატა შეშელიძე – კომუნისტური კოოპერაცია სულ სხვა იყო.

შორენა ძოწენიძე – CHF-ს ჰქონდა კოოპერაციული სისტემა, მაგრამ ვერ აამუშავა. ვესაუბრე ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც თავიდან ძალიან მონდომებული იყო, საკუთარი ფინანსებიც ჩადეს, მაგრამ არ იმუშავა.

რევაზ საყვეარიშვილი – მე შემიძლია დაგისახელოთ კოოპერაციული სისტემის კარგი მაგალითი, რომელიც ასევე არის კერძო კომპანიის ცალკეულ თემთან თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითი. მარნეულის საკონსერვო კომბინატი წინასწარი შეკვეთების საფუძველზე მარნეულის რაიონის გლეხებისგან ყიდულობს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დიდ ნაწილს.

პაატა შეშელიძე – ზოგადად საქართველოში ვერიდებით თანამშრომლობას, არ განვიხილავთ მეზობელს, როგორც პოტენციურ პარტნიორს. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, დღეს კოოპერატივების უფრო დიდი ალბათობა და საშუალებაა, იმიტომ რომ კერძო საკუთრება გაგვანჩია, როგორც მინიმუმ ჩვენი სხეულისა და ინტელექტის სახით.

ლევან ალექსიშვილი – დიდი მადლობა ჩვენს ექსპერტებს და სტუმრებს. დისკუსია დასრულებულია.